


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 16 აპრილი 12 1898 წ. № 16

შინაარსი: ჩინეთი ნ. ჟორდანიასი.—სხვა და-სხვა ამბავი.—კვირიდან კვირამდე.—კვალის კორესპონდენცია.—სიჭაბუკე, ლექს. დუტუ-მეგრელისა.—სამეცნიერო საუბარი (დასასრული) მაზაკვალისა.—ბიბლიოგრაფია მკითხველისა.—პოლიტიკური ამბები ოსმალეთში იასე რაჭველისა.—თინას ლეკური მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა.

**თამარ დედოფლის** დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

## ჩინეთი.

ვის არ გაუგონია ჩინეთი? ვინ არ იცის, რომ შორეულ აღმოსავლეთში არსებობს ერთი უზარ-მაზარი სახელმწიფო თავისი 400 მილიონი მცხოვრებით. მისი ხნოვანება აღემატება ყველა სახელმწიფოს და ყველა ხალხის ხნოვანობას. მისი ისტორიის დასაწყისი გადაკარგულია უხსოვარ დროში. მისი სიძველე და კარჩაკეტილობა საარაკოთ არის გამხდარი, მისი მეურნეობა და მწიგნობრობა გასაშტერებელია ყველასთვის, მისი სიდინჯე და უძრაობა ცნობილია მთელ ქვეყანაზე. ეს რამოდენიმე ათასი წელია, და თუ ჩინელთ დავუჯერებთ, მილიონიც კია, ჩინეთი საქმობს, ილვწის და ცხოვრებს თავისთვის. რამდენი შემოსევა, რამდენი გადასახლებ-გადმოსახლება, რამდენი აჯანყება და სხვა ასეთი დაუდევრობა არ წვევია ჩინეთს! მარა ის ამას ოდნავაც არ შეუნძრევია, საფუძველი არ აურევია. ის დღესაც ისე ჩინეთობს, როგორც ამ ხუთი ათასი წლის წინეთ იყო. მან ირგვლივ ვეებერთელა კედელი შემოივლო და დანარჩენ ქვეყანას გამოეთხოვა: შენ შენთვის და მე ჩემთვისო. და მართლაც ის მუდამ მისთვის იყო, მის გემოზე ცხოვრებდა, და ასე მოაღწია დღევანდლამდე სრული დარწმუნებული, რომ ასევე გადავალ მეოცე საუკუნეშიო. მარა, აი, ამ ორ თვეში ეს თავისებური ჩინეთი ერთიანათ შეინძრა, შეირყა, ლამის არის თავის თავს გამოეთხოვოს და გულ-ხელ დაკრეფილი სამუდამოთ ჩაიჩოქოს. რა მოხდა? რა ამბავია? რა იქნება გარდა იმისა, რომ ჩინელი თავის შინ ევროპიელმა არ დააყენა. ეს კაი ხანია მთელ ხმელეთზე დამგზავრობს, აღმოაჩინა ყველა ქვეყანა, მივიდა მიუვალ ალაგას, გაიცნო ყველა კუთხე, გაბატონდა ყოველგან და ბოლოს აღარაფერი დარჩა აღმოსაჩენი, გარდა?.. გარდა ჩინეთისა და კიდევაც მოადგა კარებზე. და აქ ძველი და ახალი კულტურა, მოხუცი და ახალგაზდა მოხვდენ ერთმანეთს. პირველმა თავი დაუკრა მეორეს, ქედი მოიხარა მის წინაშე და კარები გაუღო, მობრძანდითო. მარა, მოგეხსენებათ, სადაც კი ევროპიელი ფეხს ჩააბიჯებს, იქიდან აღარ გამოვა. ეს ბატონები ჩინეთში ვითომ სტუმრათ შევიდენ, ცოტა ხანს შემდეგ კი მასპინძელთ გამოუცხადეს: სტუმრები თქვენ ხართ, შინაურები კი ჩვენო! ჩინეთი ხედავს ამას, გრძნობს, რაც მოევლინა, რამაც დაურღვია მყუდრო

ქ. მარქსის ს. ს. ...
სახელმწიფო ...

ცხოვრება, სურს ეს ძალათ მაცხონებლები თავიდან მოიშოროს, მარა ამის გამომჟღავნებას ვერ ბედავს, ამისთვის ძალა არ შეჰწევს და ასე იძულებულია თავის ბედისწერას შეურიგდეს. და მერე იცით რა ბედისწერაა ეს?

**1895** წ. იაპონიამ დაამარცხა ჩინეთი და განადგურებას უპირებდა. ამ დროს დასუსტებულ ჩინეთს სამი ახალი მეგობარი მოევლინა და იხსნა განსაცდელისაგან. ესენი გახლავთ: რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი. აი, აქედან იწყება ჩინეთის დაახლოვება ევროპასთან და დაშორება იაპონიასთან. ჩინელისთვის იაპონელი გადაიქცა დაუძინებელ მტრათ, ხოლო სხვები კი ერთგულ მეგობრათ. მარა სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში მეგობრულ, მეზობლურ გრძნობას ნაკლები ალაგი უჭირავს. აქ ყველაფერი სარგებლობაზე, გამორჩენაზე არის აგებული. ამიტომ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ეს ჩინეთის მეგობრები რაღაც დიდ სარგებლობას გამოელოდენ და სხვა სახელმწიფოებიც, თვალს აცეცებდენ არაფერი არ გამოგვაპარონო. ამ საერთო ლოდინში განვლო სამმა წელმა და ბოლოს იფეთქა. გერმანიამ აიძულა ჩინეთი ერთი ნავთსადგური მისთვის მიეცა. ამით ის შეიდა ჩინეთის საზღვრებში და შეიტანა თავისი კულტურა. ეს არაფრათ ეჭაშნიკა სხვა სახელმწიფოთ და შეიქნა ერთი ფაცა-ფუცი. რუსეთმა გადაჭრით მოთხოვა ორი ნავთსადგური: პორტ-არტური და ტალიენვანი. ორივე პეკინთან (დედა ქალაქია) ახლოს მდებარეობს და მათი ბატონი ადვილათ გაბატონდება თვით პეკინშიაც. ჩინელები პირველათ დიდ უარზე დადგენ. შემდეგ ცოტა მოლბენ და ბოლოს სრულიად დათანხმდენ. ამას მიყვა საფრანგეთი და ერთი ნავთსადგური სამხრეთით მანაც გამოთხოვა, ამ გარემოებამ ააყაყანა ინგლისი და გამოიყვანა სარბიელზე. მან განაცხადა: ჩვენი მოვალეობაა, ჩინეთის ერთიანობა დავიცვათ, ჩვენ არ გვინდა მისი მიწა-ადგილი, ჩვენ გვსურს მხოლოთ მასთან ვაჭრობა. ხოლო ამისთვის საჭიროა, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ მიენიჭოს ჩინეთში მეტი ძალა და გავლენა. და ამ საბუთის ძალით მოითხოვა მანაც ერთი ნავთსადგური... ყველა ეს ნავთსადგურები ერთი მეორესთან ახლოს არიან და არც ერთის პატრონს არ შეუძლია ფეხი გადაადგას ისე, რომ მეორემ ეს არ გაიგოს და მეთვალყურე არ აადევნოს. აშკარაა, ამ სახელმწიფოთ ერთმანეთის ბაძვით შეანგრიეს ჩინეთი, შემოადგენ პეკინს და თითოეული მათგანი ცდილობს პეკინის მთავრობა თავის სასარგებლოთ აამოძრაოს. ამით გაიხსნა ხანა დიპლომატური ომისა და სამრეწველო მეტოქეობისა.

ახლა ერთი ვიკითხოთ: რა ნაირათ შეუძლია ჩინეთს თავისი დამოუკიდებლობა და ერთიანობა დაიცვას? რა გზით დააღწევს თავს ამ უცხო სახელმწიფოთა აპეკუნობას? ან და შეიძლება ეს უზარმაზარი ქვეყანა დანაწილდეს და თითო ნაჭერი ყველას შეხვდეს? ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რატომ მოვიდენ ევროპიელნი და რას აკეთებენ აქ. ესენი მოვიდენ არა უბრალო მო'ველის სეირნობისთვის, არამედ გამორჩენის, შეძენის და გამდიდრებისთვის. მათი ინტერესია, ის აუარებელი საქონელი, რაც ფაბრიკებში უწყვიათ, აქ მოიტანონ და ჩინელს მიყიდონ. ჩინეთი ერთობ ძალიან ცოტას ყიდულობს უცხოეთიდან. **1895** წელს მას შემოუტანია **340** მილიონი მანეთის საქონელი. სულზე მოდის ოთხი აბაზის, თუ ცოტა მეტი, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ-შტატებს, მიუხედავათ დიდი ბაჟებისა, იმდენი შემოაქვს, რომ თითო სულზე ოთხი თუმნის უცხო საქონელი მოდის. თითოეული ჩინელი ამდენს რომ ყიდულობდეს, წელიწადში 16 მილიარდი შედგება. და, აი, რისთვის იკლავენ თავს ევროპის კაპიტალისტები, აი, რისთვის გაიძახის დიდი და პატარა ჩინეთი, ჩინეთიო! მარა სხვა-და-სხვა სახელმწიფო სხვა-და-სხვა პირობებში მოქმედობს. ერთს მეტი სარგებლობა შეხვდება, ვინემ მეორეს. დღეს ყველაზე მეტ საქონელს ინგლისი ასაღებს ჩინეთში. მარა არ ვიქნებით შემცდარი, თუ ვიტყვით, რომ ახლო მომავალში ინგლისს რუსეთი გამოდევნის და ჩინეთის ბაზარზე გაბატონდება. ციმბირის რკინის გზა, რომელიც უნდა დასრულდეს შვიდ წელიწადში, გადაჭრის ჩინეთის ერთ დიდ პროვინციას (მანჯურია) და გავა დიდი ოკეანის ნაპირას. აქედან ის ჩაუხვევს სამხრეთით და მივა ახალ შეძენილ პორტ-არტურამდე. მაშასადამე რუსეთი ხმელეთით პირდაპირ შეუკავშირდება ჩინეთს. წარმოიდგინეთ, რომ ერთ შვენიერ დღეს ჩაჯდებით ვაგონში და ორიოდ კვირაში ჩინეთში ამოყავით თავი! ეს უეჭველათ მიმოსვლის მთელი რევოლიუციაა. რუსეთი ხდება ალმოსავლეთის და დასავლეთის, ახალი და ძველი ქვეყნის შემაერთებელ ხიდათ. აქ გაივლის ევროპიელი ამერიკაში მიმავალი და ამერიკელი ევროპაში მომავალი. ყველა ეს გარემოება განავითარებს რუსეთის მრეწველობას, ააყვავებს მის საწარმოო ძალას და დაატრიალებს დიდ ალებ-მიცემობას. რუსის კაპიტალისტი დაეპატრონება ჩინეთის ბაზარს...

მარა, ჩინეთმა რომ მართლა ბაზარი წარმოადგინოს, საჭიროა, პირველ ყოვლისა, ჩინელს მეტი მოთხოვნილება, მეტი ყიდვის სურვილი და მეტი შეძლება ჰქონდეს. ერთი სიტყვით ის ცხოვრებით უნდა გაევროპიელდეს, რომ ევროპის საქონელი მოიხმაროს. ხოლო ამისთვის კი აუცილებელია ძველი შინაურული წარმოება დაირღვეს, პატრიარქალური

ურთიერთობა დაინგრეს, პროვინციალური კარ-ჩაკეტილობა მოისპოს და მთელი ხალხი ევროპის გზაზე გამოვიდეს. და რომ ეს ასე უნდა მოხდეს, ამის ნიშნებს დღეს უკვე ვხედავთ. ამ ოცი წლის წინეთ ევროპის კაპიტალისტებმა შანხაიდან ვუზუნგამდი რკინის გზა გაიყვანეს. ამან ისე დააშინა ხალხი, რომ მთავრობის განკარგულებით მთელი გზა აშალეს და გაანადგურეს. ხოლო წელს იგივე მთავრობა იმავე რკინის გზის გაკეთებას შეუდგა! აი, ეს მეტად საგულისხმო მოვლენაა. ცხადია, მთავრობა დღეს დარწმუნდა რკინის გზების სარგებლობაში. ეს ერთი ბიჯია ევროპისკენ გადადგმული. და მართლაც ამჟამათ ჩინეთში დიდი მუშაობაა რკინის გზების და ტელეგრაფის გასამართავათ. ამასთანავე თებერვლის (წელს) ხელშეკრულობით ინგლისთან: ჩინეთის ყველა წყლები ღიაა (იენისიდან) უცხო გემთა და ნავთა შესასვლელათ. აგრეთვე იხსნება ახალ-ახალი ნავთსადგურები უცხოელ ვაჭრებისთვის. შანხაის, პანკას და ნინგრაში გახსნეს საქსოვი ფაბრიკები და სხ. აი, ასეთი ფაცაფუცია ამ უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში და ამას, რასაკვირველია, თან მოყვება მთელი ცხოვრების, მთელი წყობილების თანდათანი გადასხვაფერება. ამ გადასხვაფერების თავი და ბოლო მრეწველობის და აღებ-მიცემობის განვითარებაა. ჩინეთის ამ გზაზე განვითარება წარმოებს ევროპიელთა მეოხებით, ხოლო რამდენიმე საფეხურს ზევით ადგილობრივი წარმოება იმდენათ გაღონიერდება, რომ მოცილეთ გაუხდება უცხო მაწარმოებელთ და მათ საშინაო ბაზრიდან გამოდევნის. მაშასადამე ჩინეთის განვითარება ბოლოს მოუღებს ევროპიელთა პარპაშობას და თვითონ ჩინელს ჩააყენებს ცხოვრების სათავეში. მარა ასეთი მაღალი განვითარება უფრო ნელა წარმოებს, ვინემ მოთხოვნილების გამრავლება, ასე რომ ჩინელები კიდევ დიდხანს იძულებული იქნებიან თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ უცხოეთს მიმართონ. და ევროპისთვისაც, განსაკუთრებით კი რუსეთისთვის, აი, ეს ხანაა საყურადღებო. აი, ამ ხანაში გაძლიერდება რუსეთის მრეწველობა და მერე რა მოხდებაო,—კაპიტალისტთ არ აფიქრებს და, თუ ვისმე მათგანს აფიქრებს, ის იმ დასკვნამდის მიდის, რომ კაპიტალისტური ხანა—საუკეთესო და სამიდლეჩიო ხანააო...

ასე, თუ ისე ჩინეთის ეკონომიური საძირკველი რყევაშია და ეს არყევს საზოგადო აზროვნებას, ხალხის ზნე-ჩვეულებას და ბადებს კლასთა ბრძოლას. აი, რას წერს ერთი ინგლისელი გაზეთის კორესპოდენტი ჩინეთიდან:...., „დღეს ჩინეთში არავინ ეწინააღმდეგება რეფორმებს, გარდა მოხელე-თავად-აზნაურთა (იქ ყველა თავად-აზნაური მოხელეა). ხალხი მხათ არის და სურვილიც აქვს თავის ქვეყნის სამრეწველო განვითარებაში მონაწილეობა მიიღოს. მარა ეს განსწავლულნი (literati) გრძნობენ, რომ ხალხის განვითარება და გაგონიერება მათ უფროსობას ბოლოს მოუღებს და ამიტომ გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ყოველსავე წინმსვლელობას" („Times" $^{20}/_{8}$ ოქტომბერს, 97 წ.). ცხადია, მოწინავე წოდება ეღობება დასავლეთის კულტურას და გამოდის მამაპაპური ცხოვრების დამცველათ. მიუხედავათ ასეთი რეაქციონული ჩმახვისა, ხალხის ზნე-ჩვეულება მაინც იცვლება და სხვაფერდება. აი, რას წერს მეორე ინგლისური გაზეთის კორესპოდენტი: „ეს შვიდი თვეა, რაც ჩინეთი დავტოვე და მხოლოთ ახლა დავბრუნდი უკან და ამ მოკლე დროში აქ ისეთი ცვლილება მომხდარა, რომ საჭიროთ მიმაჩნია ეს ინგლისის საზოგადოებას გაეუზიარო. შანხაიში ჩინელებმა პირველათ გამართეს ბალი, რაც არას დროს არ ყოფილა ჩინეთში. ძალიან ხშირათ სადილობენ უცხოელთა ოჯახებში და ღებულობენ უცხო ქალთა და კაცთ თავის სახლში. თუმცა ყოველივე ეს აქ გასაკვირალია, მარა შესაფერი მნიშვნელობა აკლდება იმით, რომ ქალი არ ღებულობს ამაებში მონაწილეობას. ის სახლში ზის და დიდი სიამოვნებით მიიღებს სტუმარ მანდილოსანთ თავის კერძო ოთახებში. აი, ერთი გასაშტერებელი ამბავი: ჩინელ ქალებმა სადილზე მოიპატიჟეს უცხოელი ქალები; ამათ შორის იყვნენ წევრნი ამ სამი წლის წინათ დაარსებული საზოგადოებისა, რომლის მიზანია ზოგი აქაური ზნე-ჩვეულება მოსპოს, განსაკუთრებით ახალ დაბადებული ქალის ფეხის შეკვრა, რაც ასე ამახინჯებს შვენიერ სქესს. როცა ეს საზოგადოება დაარსეს, ყველა ამბობდა, შრომა უნაყოფოთ ჩაივლის, ხალხი აჯანყდებაო და სხ... მარა ამ სადილზე ჩინელი ქალები მიემხრნენ ამ საზოგადოებას და გადაწყვიტეს საქალებო სკოლის გახსნა, სადაც მოსწავლეთ ჩააგონებენ ფეხის შეკვრის სისაძაგლეს და ასწავლიან მეცნიერების ყველა დარგს. ამას შემდეგ თვით ჩინელ ქალებმა დაარსეს ფეხის შეკვრის წინააღმდეგი საზოგადოება. აგრეთვე ძალიან გახშირდა ველოსიპედის ხმარება და პირველათ წელს გამოვიდა ჩინელი ახალგაზდა ქალი ქუჩაზე ველოსიპედით.!! და სხ. („Spectutor" $_{19}/^{7}$ მარტი). ამ გვარათ, ჩინეთის ნივთიერ წყობილებასთან ერთათ ირღვევა ძველი ზნე-ჩვეულება და დროს გადასული შეხედულება. და რაც უფრო ჩქარა დასრულდება ეს პროცესი, მით უფრო ჩქარა მოხდება მთელი ხალხის, მთელი ერის განახლება და საკაცობრიო ცხოვრებაში შესვლა. ჩინეთის მაგალითმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ „დიდებული წარსული", ათასი წლის ისტორია, ძველი ძლევა-მო-

სილობა, მეურნეობა და სხვა ამისთანაები ვერაფერი საბუთია ცხოვრებაში გამარჯვების და ხალხთა შორის პირველობის. ერი, რაც ადრე ასეთ ტრაბახობას, უთავბოლო ბაქი-ბუქობას და თავის თავის მოტყუილებას საქმიანობაზე და ახალი პირობის შეგნებაზე გაცვლის, მით უფრო ადრე გაღონიერდება, გამაგრდება და არსებობისთვის ბრძოლაში გამარჯვებული დარჩება...

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

შინაო საქმეთა სამინისტროს არ შეუწყნარებია უმთავრესი მუხლები იმ მოხსენებისა, რომელიც წარადგინა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ხიზანთა საქმის შესახებ. მოხსენების უარყოფილი მუხლები სხვათა შორის ითხოვდენ, რომ მებატონეს მისცემოდა უფლება-საშუალებანი, რაც შეიძლება ადვილათ გადაესახლებინა ხოლმე თავის ადგილ-მამულიდან ხიზნები, როცა კი ამას მოისურვებს. სამინისტროს გამოუთქვამს ის აზრი, რომ 1891 წ. 3 ივნისის დებულების 7 მუხლი ისევ თავის ძალაში დარჩესო. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ უკეთუ მებატონე ძალით გადაასახლებს ხიზანს, მაშინ ეს უკანასკნელი ერთი ორათ ღებულობს მებატონესაგან ყველა თავის ნამოქმედარ-ნამუშავარის ღირებულებას.

დაწვრილებით ამ საკითხს სახელმწიფო საბჭო მომავალ შემოდგომაზე განიხილავს.

—

თელავიდან ჰწერენ გაზ. „Руск. Вѣд."-ს, რომ თელავის მაზრის ბევრ სოფლებს საშინელი გალატაკება ელისო. გლეხობა, ისეთი დიდრონი სოფლებისაც კი, როგორიც არის წინანდალი, ქვემო-ხოდაშენი, ვანთა, აკურა, კალაური, შაშიანი და ურიათუბანი, მხოლოთ მჭადით-ღა იკვებება. საწუხაროთ, ზოგს მჭადიც კი ენატრება. ს. შაშიანის ერთმა გლეხმა 4 კოდ სიმინდში (კოდი ღირს $1^1/_2$ მ.) თავის „მოწყალე" მოვალეს შემოდგომისათვის აღუთქვა 15 ჩაფი ღვინო (ე. ი. 60 მ.) ს. კალაურში ადგილობრივი ვაჭარი გლეხების ვენახებს წამლობს და ყველა ნაწამლ ვენახზე მოსავლის $^1/_3$ იღებს, ე. ი. დესეტინაზე 80 მ. მაშინ როდესაც დესეტინის ორჯელ წამლობა (შაბიამანით და გოგირდით) სულ 12—16 მან. ჯდება.

„საითაცკი მიიხედავო—დასძენს კორესპონდენტი—ყველგან შავ-ბნელი სურათები გულს გიწუხებენო".

ამ წლისათვის, კავკასიაში ახალი გზების გასაყვანათ, გადადებული ყოფილა 1 მილიონ 862 ათას 260 მან. და უკვე არსებული გზების შესაკეთებლათ 1 მილ. 584 ათას 396 მან. სხვათა შორის ახალ გზატკეცილს გაიყვანენ შავი ზღვის პირათ ნოვოროსიისკიდან ახალ ათონამდის (ამ გზისთვის დანიშნულია 548 ათასი მან.), ბათუმიდან ახალციხემდის და ართვინამდის გააკეთებენ საპალნის საზიდ გზას (დანიშნულია 309 ათასი მან.); ასეთსავე გზას გაიყვანენ შესანიშნავ კლუხორის უღელ-ტეხილზე, ეს გზა დაიწყება სუხუმიდან და მივა ყუბანის ოლქამდის (გადადებულია 200 ათასი მან.). ახალი გზატკეცილები გაკეთდება აგრეთვე ყარსის მახლობლათ (გადადებ. 300 ათასი მან.)

—

ფოთის ნავთ-სადგურში მომხდარ კატასტროფას (უბედურ შემთხვევას), როგორც ახლა გავიგეთ, 18 მუშა უმსხვერპლია. ესენი რაჭველები ყოფილან, რომელნიც თავიანთი ნაშრომ-მონაგარით სააღდგომოთ შინ ბრუნდებოდენ.

—

პეტერბურგში შემდგარა კაპიტალისტების ახალი კომპანია, რომელსაც აზრათ აქვს გამოიკვლიოს კავკასიაში ყველა ის ადგილები, სადაც კი მოსალოდნელია, რომ ნავთი აღმოჩნდეს.

—

პოდპოლ. ვ. ი. ვარაპაევს განუზრახავს ამ დღეებში სცადოს თფილისსა და ავჭალას შორის მარკონის მიერ გამოგონილი წესით დეპეშის გადაცემა უმავთულოთ.

—

ამ დღეებში მომხდარ თელავისა და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებებმა ხმის უმეტესობით ის აზრი გამოთქვეს, რომ სასურველია, რაც შეიძლება, მალე, შემოიღონ ჩვენში ერობაო.

—

ჩვენ მივიღეთ „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის ქუთაისის გუბერნიაში" 1897 წლის ანგარიში. როგორც ჩანს ამ ანგარიშიდან ამხანაგობას წმინდა მოგება დარჩენია 5 ათას 608 მ. 87 კ., რომელიც ასე გაუნაწილებიათ: სათადარიგო თანხათ გადაუდვიათ 560 მ., ძირის თანხათ 560 მ., დივიდენდებათ დაურიგებიათ 3145 მ., ინვენტარის გასანაღდებლათ 927 მ. 87 კ., მოსამსახურეთა ჯილდოთ 200 მ., საკვირაო სკოლისა და ბიბლიოთეკისათვის 216 მ. სულ 5608 მ. 87 კ.

—

ჩვენ მივიღეთ ანგარიში გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის 1897 წლის მაისის

პირველიდან 1898 წ. იანვრის პირველამდე, რომლიდანაც ეტყობულობთ შემდეგს: მთელი საალებმიცემო თანხა ასულა 20 ათას მანეთამდე. მთელი მოგება შეადგენდა 6 ათას 544 მ. ამ ფულში ჰირნახულიდან მოუგიათ 4,265 მ. 99 კ. თივა-ბზიდან 312 მ. 65 კ. ნავთიდან 223 მ. 27 კ. საწვრილმანოდან 1,623 მ. 46 კ. და სხვა წმინდა მოგება დარჩენილა სულ 2,931 მ.

## კვირიდან კვირამდე.

ჭამა-სმა დიდათ შესარგი — უთავბოლო ფართი-ფურთობა — უწლოვანები — მეწვრილმანე — ასტრონომიული მოღვაწეობა.

აჰსეც აღდგომის დღესასწაულები! ორმოცი დღე და ღამე მოუთმენლათ ველოდით, ხეირიანათ არც გვისვამს, არც გვიჭამია, ნამეტანი სიჩქარით ყელში სული მოგვებჯინა და ბოლოს, როგორც იყო, კიდევაც მოგვადგა კარებზე, სანატრელი კვირა გაგვითენდა. და ეს იგრძნო მთელ ჩვენ აგებულებამ, პირველ ყოვლისა მისუსტებულ და ყბად აღებულ კუჭმა. მოგვეცათ სიცოცხლე, ჩვენ მას საქმე დავმართეთ, რაც უკანასკნელ თვენახევარს დავაკლეთ, იმ დალოცვილ ერთ დღეს შევუსრულეთ. რაც კი რამ გვებადა შევსვით, შევჭამეთ და ახლა დოინჯშემოყრილი, ჯიბეცარიელი და საკუჭნაო გამოფხეკილი ვიგონებთ დიდებულ წასულს, დიდებულ დღეს, როცა ყოველივე გავანადგურეთ და გაუმაძღრობას მსხვერპლათ შევწირეთ. ახლა კი ვუჭერთ ჯიბეს ხელს, მარა რაღა დროს არის. პირ იქით, ახლა გადაშლილი უნდა ვატაროთ, ეგების უცებ სადმიდან რამე შიგ ჩავარდეს. აღდგომა — ეს ჭამის აღდგომააო — ამბობენ სოფელში და მართალიც ყოფილა. წელს მაინც ამაში ბუნებამაც ხელი შეგვიწყო, წვიმა, თოვლი, ქარი აირია ერთმანეთში და ჭრელ-ჭრულათ მიკაზმულ-მოკაზმულები სახლში დავმწყვდით. და, აბა, რა გაეკეთებიათ ბუნების მიერ განრისხულთ, თუ არ „ღვინო კახურო ვარ შენი მსმელი“ და სხ. ასე თუ ისე, როგორც იყო, ეს ერთიკვირა გავისტუმრეთ იქით, საიდანაც მოვიდა და ჩვენ თავს ბედნიერათ ვგრძნობთ. ხუმრობა საქმე იქნებოდა, ჩვენ რომ მას გავესტუმრებით.

* * *

და არა ჩვენ ის გაგვესტუმრებია?. და ეს ხომ ასე ადვილი ყოფილა ამ ჩვენ კურთხეულ საქართველოში. მოგეხსენებათ, რომ აღდგომის მიწურულში ოციოდე კაცი ფოთელებმა შავი ზღვის ტალღებს მისცეს, ახლა ეს იკმარე და შემდეგ კიდევ სხვა იყოსო. სწორეთ ახირებული რამ უნდა იყოს ეს ფოთი. ის რას არ მიედ-მოედება, რას არ მოკიდებს ხელს, მარა უეჭველათ ყოველთვის დიდს და გასაშტერებელ რასმეს, როგორც ბუხტი, ტელეფონი, ელექტრონი და სხვა ამისთანაებია, მაშინ როდესაც მას არ აქვს არც საკუთარი სკოლა, არც წიგნთ-საცავი, არც სამკითხველო და ასე გაშინჯეთ არ ჰქონებიათ აღარც საკმარისი ფელუკები, რომ ხალხი გემიდან მშვიდობიანათ გადმოეყვანათ. ფოთი, როგორც ხედავთ, ფართი-ფურთობს, მაღალ-მაღალ ფარდებში მიიწევა, ხოლო დაბლა ამ ცოდვილ მიწაზე კი ფეხი ვერ მოუმაგრებია. ორში ერთი: ან ფოთმა საჭიროთ უნდა გამოაცხადოს ჩვენ ზღვით მოგზაურთ ვერ მივიღებთო, ან და ისე მოაწყოს, რომ იქავე კარის ძირში ამდენ ხალხს სამარე არ ეთხრებოდეს. თვარა ოდესმე რიგიანი ბუხტი გვექნებაო (თუ კი ექნება!) — ვერაფერი საბუთია დაუდევრობის და მოგზაურთა წყალში გადაყრის. თუმცა ფოთს ასე არეულ-დარეული აქვს შინაური საქმეები, მარა სამაგიეროთ გარეთ თავის გამოჩენა ეხერხება, გარეგანი წეს-რიგის დაცვა იცის განსაკუთრებით იმ წესების,

* * *

რომელიც „все благополучно“-სთან არის შეკავშირებული. მან თფილისის პოლიტეხნიკუმს უარი უთხრა ფულით დახმარებაზე, ვინაიდან წინდაწინ იცოდა ამას არ დამანებებს, ვისიც ჯერ არსო. ხოლო იმერეთის დანარჩენი სამი ქალაქი კი ჩაცვივნდა სასაცილო მდგომარეობაში. ქუთაის, ბათომს და ოზურგეთს გამოუცხადეს: თქვენ ჯერ გეტყობათ სრული წლოვანი არა ხართ, ფულის მოხმარება არ გცოდნიათ, თქვენი სიტყვა თფილისზე მიცემული უკანვე წაიღეთო და კიდევაც წაიღეს, თუ წაალებიეს უკან. რა ადვილი ყოფილა თქმა და გადათქმა! ამით თურმე განსაკუთრებით შეურაცხყოფილათ გრძნობს თავს პაწია ოზურგეთი, როგორც თუ ჩემ ენას კლიტე შეაბესო. და მართლაც, თანავუგრძნობთ მას ამ მწუხარებაში, მით უფრო, რომ ოზურგეთისთანა თავისებური ქალაქი სულ არ მოიპოვება ამ ჩვენ საქართველოში. ვისაც ის ახლა და ამ ათი წლის წინეთ უნახავს, დიდ ცვლილებას შეატყობდა. მაშინ მთელი იქაური ცხოვრება ოთხ-ხუთიოდე არისტოკრატის გარეშემო ტრიალებდა, დღეს კი არისტოკრატია მიმქრალა და საშუალო მდგომარეობის კაცს წამოუყვია თავი. ერთი სიტყვით ოზურგეთი საშინლათ გადემოკრატებულა და ეს, მოგეხსენებათ, ამ ჩვენ არისტოკრატულ ქვეყანაში სანთლით საძებარია. მარა

უეჭველია ქამთავითარება ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ნაწილსაც ოზურგეთის გზაზე დააყენებს,

***

და ამის ნიშნებს დღეს უკვე ვხედავთ. ყველაზე უფრო თავმომწონე და სახელოვან გორის თავად-აზნაურობასაც კი მოუბრუნებია აწმყოსაკენ და ხელი მოუკიდია—ჰოი, საშინელებავ!—ვაჭრობისათვის! და მერე რანაირი ვაჭრობა! თქმაც კი მეძნელება! მარა ვიტყვი, ცოდვა გამჟღავნებული ჯობს, რა ნაირი ვაჭრობა და უბრალო, საწვრილმანო ვაჭრობა. იყიდე პური, ქერი, ლილა, საპონი, ნავთი და მერე გაყიდე, მორჩა და გათავდა. აი, ამაში მდგომარეობს გორის მემამულეთა აღებ-მიცემობა და აქედან მოგებაც კი უნახავთ. ასე გაშინჯეთ, ნავთის ყიდვა-გაყიდვისაგანაც კი მოუგიათ 200 მანეთზე მეტი რვა თვის განმაელობაში. ერთი სიტყვით კარაპეტების დასამარცხებლათ საჭირო ყოფილა თვითონ გაკარაპეტება. ნაკლებათ იყიდე და მეტათ გაყიდე—აი, კარაპეტას მთელი ბუხჰალტერია, და, აი, ეს მეცნიერება შეუთვისებია გორის თავადობასაც. მას ერთ ხელში დაუჭერია არშინი და დავთარი, ხოლო მეორეში „ჩოთქი" და ყანთარი. და სხვანაირათ არც კი შეიძლება; პალო პალოთი ამოვარდებაო—იტყვიან რუსები. აი, დღეს რა ნაირათ შეიცვალენ ბრძოლის იარაღები.

„კვალის" კორესპონდენცია.

ს. ჭიათურა. ადრე, როდესაც შავი-ქვის წარმოების ღერძს უმთავრესათ ფულიანი ევროპიელები ატრიალებდენ, როდესაც ჩვენი მამა-პაპური ურმები ჭიათურის რკინის გზის მაგიერობას ეწეოდა, შავი-ქვის წარმოების დასაწყებათ დიდ ძალი ფული იყო საჭირო, როგორც ადგილობრივ ჭიათურაში ქვის საყიდლათ, ისე ზესტაფონს ჩატანილი ქვის დასახსნელათ. უფულოთ მაშინ ძნელათ თუ რაიმე საქმეს გააკეთებდით, ნდობით და ნისიობით კი შორ მანძილს ვერ გაივლიდით. ამიტომაც მაშინ შავი-ქვის მწარმოებელნი, რაოდენობით ბევრათ ცოტანი იყვნენ, ვინემ დღეს არიან. ჭიათურის რკინის გზის გაკეთებასთან ერთათ არსებულმა გარემოებამაც იცვალა ფერი. უწინ ქვის დამზადება და მისი ზესტაფონში ურმებით გადატანა ბევრ ხარჯს და შრომას ითხოვდა, მაშინ დარ-ავდარს, ზამთარ-ზაფხულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შავი-ქვის წარმოებისათვის. ყველა ეს რკინის გზამ როგორც არა საჭირო სავანი უკუაგდო, მნიშვნელობა დაუკარგა—გაადვილდა ქვის დამზადება ჩამოტანა, წარმოება წინეთ „რჩეულთა" ხვედრი, ყველასათვის ხელმისაწვდომი შეიქნა. ამისთვის დიდმა და პატარამ, ჩინიანმა და უჩინომ, ვაჭარმა და ხელოსანმა, ყველამ შავი ქვის წარმოება დაიწყო. ჭიათურის ვაჭარ-ჩარჩი-მეწვრიმალე, შავ-ქვასაც აწარმოებს და მასთან ვაჭარ-ჩარჩ-მეწვრიმალეცაა. თითოეულ მათგანს სამჭედლურ-საწვრიმალოცა აქვთ და მადანში დასაქვენებული შავი-ქვაც. ამ რიგათ ჭიათურელი, მეწვრიმალე გინდა, თუ ხაბაზი, გაბმულია ობობას ქსელივით „საქმეში", თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ორჭოფობამ ბარე ორს ჩამოალაგებია თაროებიდან კოლოფები და შავი ქვის წარმოებიდანაც ფეხი ამოაკვეთია. ამ რჯულის შავი-ქვის მწარმოებელნი, როგორც ზევით მოგახსენეთ, გამრავლდენ უფრო მეტათ ბოლო ხანებში, მას აქეთ რაც ყვირილის ხეობაში იწყო ქშენა წივილი ორთქლმავალმა. ამ ტიპის, წვრილ ფეხა მწარმოებლების გამრავლებასთან ერთათ ჭიათურაში ბერძნებმაც მოიდგეს თავიანთი ამოსაკვეთი ფეხი. ჯიბე ცარიელ ბერძნებმა დაიწყეს ქვის იაფათ ყიდვა-გაყიდვა. შეებრძოლენ ფულიან ექსპორტერებს ცალ-ყბათ აღებული ბერძნები. თავდაპირველათ მათ არავითარ ყურადღებას აქცევდენ, მარა ბერძნებმა რაღაც მანქანებით გაიკეთეს ნდობა თფილისის საკომერციო ბანკში, ბანკს საწინდრათ ჯერ დაუხსნელი ქვა-გუნდა მისცეს (წვრილფეხა მწარმოებლებისაგან ნისიათ ნაყიდი), იქიდან გამოტანილი ფული საყველი-პუროთ დაურიგეს პატრონებს, ამასობაში ქვა—იაფათ გაყიდეს და თან გზავნეს; შეიქნა „ბრძოლა არსებობისათვის". ვისაც ეზოგებოდა თავის ფული ამ შეცილებაში მონაწილეობა არ მიიღო, თავი მიანება კონკურენციას, რა კი საზიანოთ დაინახა წარმოების გაგრძელება, რადა ბევრი გავაგრძელოთ, საზღვარ გარეთის ბაზარი ამ ბოლო დროს, ცალ-ყბათ აღებულმა ბერძნებმა შეინარჩუნეს.

ტყუილათ ქვას შოულობენ და იაფათ ჰყიდიან. ან კი რა ენაღვლებათ, ქვა თუ დაჭირდათ ერთი დ ძახების მეტი არ უნდათ, წვრილ-ფეხა მწარმოებლებისაგან რამდენიც უნდა იმდენს მიიღებენ. ფული დაჭირდება და თფილისის საკომერციო ბანკი და მისი ჯანი. ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყო, ბერძნებს წყალი აემღვრათ, საქმე ცუდათ წაუვიდათ და, ცოტას გაწყდა, მათ მიერ გაკეთებული ხრიკების გამო კინაღამ ხსენებული ბანკის რამდენიმე მოსამსახურე დაითხოვეს სამსახურიდან. საქმე, აი, რაში გახლდათ. ბერძნებს ხსენებული ბანკიდან დანიშნული ჰქონდათ ფუთ შავ-ქვაზე ოთხი კაპეიკი. რამდენ ათას ფუთს იყიდდენ, ბანკისაგანაც იმდენი ათასი ფუთის 4 კაპ. აიღებდენ. მარა ბოლოს და ბო-

ლოს ზედ მეტი ფუთების წარდგენით (როგორც ისმის) რამდენიმე ათი ათასი მანეთის გამოტანა მოასწრეს. ბანკის გამგეობამ ბოლოს გაუგო ბერძნებს ეს ხრიკი, შეიქნა ფაცი-ფუცი, რევიზია, საქმის ძიება, რის შედეგიც იყო ის, რომ ბერძნებს კრედიტი დაუხურეს. ამ ჟამათ მეტათ ყურებ-ჩამოყრილი არიან ხსენებული ბელადები. თურმე სხვისი ფულებით პარპაშობდენ. ქვის მიღებაც შეაჩერეს. ახლა ბევრს ცდილობენ წამხდარი საქმის გამოკეთებას, მოიყვანეს ჭიათურაში ბანკის რევიზორი, დაარწმუნეს, აქ ამდენი მილიონი ფუთი გვიწყვია, იქ ამდენი ასი ათასიო და ვითომ ამით იმართლებენ თავს. საზოგადოთ შავი-ქვის ფასების დაცემაში ბერძნებს დიდი ღვაწლი მიუძღვისთ და ეს საგანი არ უნდა მიეცეს დავიწყებას შავი-ქვის წარმოების ისტორიაში.

ღმერთთან სწორი ჯობს და ჩვენი წვრილ-ფეხა მწარმოებელნიც ვერ იჩენენ შორ-მჭვრეტელობას. მიეხვევიან ხან ერთ ბერძენს, ხან მეორეს—უზიდევენ და უზიდევენ ნისიათ ქვას, სანამ თითონ მათ არ შემოელევათ „საკაკალო“. მაშინ კი გამწარებული გარბიან ფოთში, იქნება იქ მაინც ავიღოთ ცოტა ოდენი, რა კი ჭიათურაში არ გვაღირსეს ფულის გამოგზავნაო, გარბიან, მარა ბევრი მათგანი ისევ ჯიბეცარიელი დაბრუნებულა. საკმაოა ევროპიული ტანისამოსით, სუფთათ ჩაცმული მოვიდეს ვინმე ჭიათურაში, გამოაცხადოს, აბა, ნაღდ ფულზე ვიწყებ ქვის ყიდვას, ვის გსურთ, ქვა ჩამაბაროთო. თქმა და ასრულება ერთი იქნება, არ დაგიდევენ იმას, მართალს ამბობს თუ ტყუილს, გვარსაც არ იკითხავენ ისე, დაიძახებენ: ვინ ხართ მამაცი, ნაღდი კაცი მოსულა, მაღალ-კალოშებიანი, აბა, ქვა ჩავაბაროთო.—და მართლაც მიიღებს რამდენი ათასიც ენებება. სწორეთ ასე გამოაცხადა შარშან ერთმა ბერძენმა.... მიაწყდა წვრილ-ფეხა მწარმოებელნი აქეთიქიდან. პირველ კვირას მართლაც დაარიგა ნაზიდი ქვის ღირებულება. შემდეგ განაგრძო მიღება, და თვით გაძვრა ფოთში. გაიყოლა 6,000 მ., რომელიც გააჩერა ექვს თვეს.—დაგვღუპა მაღალ-კალოშებიანმა, რა გვიქნა კაცო ესო.—ეკითხებოდენ შემდეგში ერთი მეორეს.—ქე, მაინც გვარი მასწავლე, თუ ძმა ხარ. გვარი და ჯილაგი ამოუვარდა მას. არ ვიციო & სხ.

ამ ზამთარში, ნიადაგში გამჯდარ წყალმა დააქცია ალაგ-ალაგ რბილი შავი ქვის გვირაბები. მაგ. ს. შუქრუთს, ერთი ამ გვარი გვირაბი ჩამოიქცა, შიგ მოიმწყვდია მადნის მუშა დომენტი მაჭარაშვილი, რომელსაც იმავ დღესვე სული გააფრთხობინა.

გ. ბერიძე.

# ს ი ჭ ა ბ უ კ ე.

სიჭაბუკევ, დროვ ნეტარო,
საუკუნო შენ დიდება,
რომ ყველაფერს ამოძრავებ,
რაც კი ნათელს ეტანება!..

—

მეგობრებო, სანამ გიდგათ
განთიადი ცხოვრებისა,
დრო წრფელ გრძნობის, აღფრთოვნების,
რწმენისა და ოცნებისა;
სანამ არ სდებთ ფასს სიცოცხლეს
და ბრმათ ხარჯავთ ნიჭს და ძალას,
დღეს ტკბილ ნექტარს ეწაფებით
და ხვალ მწარეს სვამთ სამსალას.
ყურს ნუ უგდებთ გამოცდილ ბრძენთ,
ვისთვისაც ცა აღარ არი,
იდეალზე სასოება
სიზმარია და ზღაპარი.
და არ დაცხრეთ, არ დამშვიდდეთ,
იმღერეთ მოუსვენრათ,
„იკარიულ“ ფრთა შეისხით
და გასწიეთ მზისკენ მედგრათ!..
ჩამოვარდნა ნუ გაშინებთ,
უდრტვინველათ შეხედეთ სიკვდილს:
გამარჯვება მხნის ხვედრია,
ვეღარა გრძნობს მკვდარი სირცხვილს.
და, თუნდ შესცდეთ!.. ის არ სცდება,
ვინც არაფერს არ აკეთებს,
თქვენ დღევანდელ შეცდომითა
შემდეგი დგმა ისარგებლებს!
მაშ, გამხნევდით, გასალკლდევდით,
წაიმძღვარეთ წინ იმედი
და იბრძოლეთ, რომ ან მოკვდეთ,
ან ხელთ იგდოთ თქვენი ბედი!..

—

სიჭაბუკევ, დროვ ნეტარო,
საუკუნო შენ დიდება,
რომ ყველაფერს ამოძრავებ,
რაც კი ნათელს ეტანება!..

დუტუ მეგრელი.



გაზაფხული.

## სამეცნიერო საუბარი. *)

**მეცნიერების მოკლე მიმოხილვა 1897 წელს—ელექტრონობა.—ქირურგია.—ფოტოგრაფია.—ქიმია.—ოპტიკა.—სტამბა.—ვარსკვლავთ მრიცხველობა.—გეოგრაფია.—ფიზიოლოგია.—ჰიპნოტიზმი (მთაგონება).—ჰიგიენა (ტანმთელობა).**

(დასასრული)

წარსულ წელში ფრიად გაუმჯობესდა ვარსკვლავთ სამრიცხველო დურბინდები და მიკროსკოპები, ესე იგი გამდიდებელი შუშებიც. შარშან ინგლისში გრინვიჩის ვარსკვლავთ სამრიცხველო კოშკში შეიტანეს და დადგეს ერთი უშველებელი დურბინდი, რომელიც ოცდა თუთხმეტ ვერსტზე გვიახლოვებს მთვარეს და ზედ მთებსა და მინდვრებს ადვილათ ხედვენ, აგრეთვე თოვლსაც ნიშნავენ. ამასთანავე ვაშინგტონის მცხოვრებმა დოქტორმა ელმერგატმა მოიგონა ერთი მიკროსკოპი (გამდიდებელ შუშათა გროვა), რომელიც ას მილიონჯერ ადიდებს პაწაწკინტელა საგნებს. წინანდელი მიკროსკოპები ერთ მილიონჯერაც ვერ ადიდებდენ. ახლა ეს ახალი მიკროსკოპი სულ სხვანაირათ არის მოწყობილი. აქ ორი მიკროსკოპია ერთათ შეერთებული: ერთს გამდიდებელ შუშებში გაჰყავს სხივები და ადიდებს მხედველობის სივრცეს, მეორე მიკროსკოპი კი ამ სივრცეში დადებულ საგანს უფრო დიდ სინათლეს აყენებს და კვლავ ადიდებს. ეს მეორე მიკროსკოპი იმდენათ უმეტესია მხედველობით პირველ მიკროსკოპზე, რამდენათაც ეს პირველი მიკროსკოპი კაცის თვალზე.

ამას აგრეთვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ დოქტორმა გატმა ისეთი მიკრო-ფოტოგრაფია მოიგონა, რომელიც სამ მილიონჯერ უფრო გაადიდებს და ისე გადაიღებს ხოლმე გადიდებული საგნის სურათს.

—

ამერიკაში სტამბამ შემოიღო მანათობელი ასოები. ისტამბება თეთრ ქაღალდზე ისეთი წიგნები, რომელნიც დღისითაც იკითხებიან და ღამით სანთელზე; მაგრამ საკვირველება იმაშია, რომ როცა სანთელს გააქრობ, ღამეში წიგნის ასოები ნელ ნელა დაიწყებენ ქათქათს და იმდენათ განათდებიან, რომ ასოები ცეცხლის ფრათ გამოდის და კარგათაც იკითხება უსანთლო ღამეში. მანათობელი ასოების ნივთიერებას აკეთებენ შემდეგ ნაირათ: ნახშირმჟავა კირს და გოგირდს ერთათ შეადუღებენ და მერე იმაში აურევენ ორკეც მჟავა მარგანეცს ისე, რომ ამ ნივთიერების მარტო ორი ნაწილი შეერიოს ას ნაწილში, მეტი არა. მაგრამ თვალის ექიმები ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგნი არიან ამ ნაირი ნივთიერებისაგან ჩამოსხმული ასოებით დასტამბული წიგნის კითხვისა, რადგან ისინი ამტკიცებენ, რომ ასეთი ასოებით დასტამბული წიგნის კითხვა თვალებს ახდენსო.

—

წარსულ წელს ერთმა ამერიკის გაზეთმა სახელათ „New-vork Times“ („ნიუიორკ ტაიმსი“) გამოაცხადა ერთი საკვირველი ამბავი: ერთხელ პროფესორი იერემია მაკდონალდი, მცხოვრები ბიგამპტონის ქალაქისა, დაბრუნდა შინ და ჯერ კიდევ სახლში არ შესულიყო, რომ რაღაც დიდი ხმაურობა მოესმა. მიიხედა გვერდზე და შენიშნა, რომ რაღაც ნივთიერება ჩამოვარდა ზეციდან და იქვე მის მახლობლათ ჩაეფლა მიწაში. იმან მაშინვე დაუწყო თხრა იმ ალაგს და მალე ამოაგდო მიწიდან ერთი რაღაც თეთრი მეტალის ნაირი ნივთიერება. ზედ ეტყობოდა, რომ ერთი მხარე ამ მეტალისა ადუღებული იყო გახურების გამო და, როცა გაციებულიყო, რკინის ნადუღს ჰგავდა. იერემია მაკდონალდმა გაჭრა ეს ნადუღი აბკი და შიგნიდან ამოიღო კვერცხის გულსავით ერთი რაღაც მეტალი, რომელზედაც შენიშნა იეროგლიფური ზეწარწერა. ბ-ნი მაკდონალდი ფიქრობს, რომ ეს საგანი მარიხის მნათობიდან (Марсъ) არის ჩამოგდებულიო. თუ რომ ეს ამბავი მოჭორებული არ არის და მისი სინამდვილე დამტკიცდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მარიხელები (მარსელები) ბევრათ უფრო განათლებული უნდა იყონ ევროპელებზე და ამერიკელებზე; იმათ ბევრათ უფრო მეტი ცოდნა უნდა ჰქონდესთ ვარსკვლავთმრიცხველობაში, ვიდრე ჩვენ მეცნიერებს. კარგი გულკეთილები ყოფილან ეს მარიხელები, მაგრამ როდის იქნება, რომ ჩვენც შევძლოთ სამაგიერო პასუხი გავუგზავნოთ.

—

რაიცა შეეხება გეოგრაფიულ აღმოჩენას, ჩვენ უნდა მოვიგონოთ წარსული წელი შესანიშნავი ნანსენის მოგზაურობით პოლუსის ქვეყნებში. ნანსენის მოგზაურობის ძლევამოსილობამ გამოიწვია ჰაერით მოგზაურობა ანდრესი აგრეთვე ჩრდილოეთის პოლუსისკენ და ბელგიელების გამგზავრება სამხრეთის პოლუსისკენ. ვნახოთ, ისინი რას მოგვიტანენ ამ წელს.

—

ფიზიოლოგიაში უნდა აღვნიშნოთ წარსულ წელს ერთი შესანიშნავი თეორია, ლორდ კალვეინის მიერ შეთხზული, თუ როგორ წარმოდგა სიცოცხლის ნიშან-წყალი. ამ საგანზე პეტრე კრაპოტკინმა გამოაქვეყნა ინგლისურ გაზეთში „ნინეტეანთ ცენ-

*) იხ. „კვალი“ № 15

ტური" (Nineteanth Century) დაწერილებითი ცნობა. მეორე საკვირველი ამბავი მოხდა ჰიპნოტიზმით შთაგონება, მორჩენა ავათმყოფებისა. ამ საგანზე მთელი დაკვირვება და ჩინებული გამოძიება აქვს მოხდენილი ბ-ნ მირტენს და ბ. მონტფრინს. იმათ გამოცდილებაზე, ლორდ კელვეინის და კრაპოტკინის თეორიების შესახებ ჩვენ უფრო ვრცლათ გვექნება ლაპარაკი შემდეგში.

—

ჰიგიენის და ტანმთელობის მეცნიერების წარმატებაში წარსული წელი შესანიშნავათ განირჩევა წინა წლებისაგან. ერთი ინგლისური გაზეთი (Science Siftings) ამტკიცებს და მას სხვა მეცნიერი მკურნალებიც ეთანხმებიან ამაში, რომ კოცნა ძლიერ სასარგებლო რამ ყოფილა ტანმთელობისათვისო. ინგლისის გაზეთის სიტყვით კოცნა მიკრობების გაცვლა-გამოცვლაა; მერე ეს მიკრობები ერთმანეთს დაერევიან და ქლეტენო. თურმე ავათმყოფი კაცის მიკრობები უფრო სუსტნი არიან დ ტანმთელი კაცის მიკრობები ყოველთვის ერევიან მათ და უწყალოთ მუსრავენ. ბოლოს რაც უფრო ხშირათ ჰკოცნიან ერთმანეთს, ესე ბევრი მიკრობები გადადიან ერთმანეთის ტანში და შეიქნება საშინელი ბრძოლა და ხოცვა სუსტი მიკრობებისა. ამ სახით საავათმყოფო მიკრობები ახალ მოსულებისაგან იხოცებიან და ტანი მთელდება. მაშ ბატონებო და მანდილოსნებო გადავეხვიოთ და, რამდენიც შევ-ძლოთ, ვკოცნოთ ერთმანეთი, რადგან მეცნიერება გვილალადებს, რომ კოცნა ურთიერთი ტან მთელობის უებარი წამალიაო.

მაზაკვალი.

## ბიბლიოგრაფია.

### („მოამბე", № 3, 1893 წ.)

Eრთი შესანიშნავი თვისება აქვს „მოამბეს", რომელიც საჭიროა აღვნიშნოთ. როცა „მოამბის" ნომრებს კითხულობთ, თქვენ წარმოგიდგებათ ისეთი ადამიანი, რომელიც მუდამ დაღვრემილია და გამწყრალი: ასე გეგონებათ, ის თავის გულში მთელ ქვეყნიერებას ექადისო, თითქო ეს უკანასკნელი დამნაშავე იყოს მის წინაშე. გაივლის ხანი და ეს მუდამ მწყრალი ადამიანი გაყუჩებულია: რამდენიც გსურს ილაპარაკე იმის შესახებ, ის ხმას არ ამოიღებს, მარა ამ დროს საკმარისია ცოტაოდენი მიზეზი, რომ ამ მუდამ დაღვრემილმა ვისმეზე იყაროს ჯავრი. მაშინ კი მის გინებას და ლანძღვას საზღვარი აღარ აქვს. მარა ლანძღვაც არის და ლანძღვაც: ეს ლანძღვა-გინება აქ ნამდვილ მოამბისებურ ფერს ღებულობს. მკითხველიც მხოლოთ ამ დროს გრძნობს, თუ რა არის „მოამბე", თუ რას ნიშნავს მისი მუდამ გამწყრალი და დაღვრემილი სახე! საზიზღარი რამ არის, როცა მუდამ პირჩამომტირალი და დაღვრემილი სახის ადამიანი კისკისს და ხარხარს მორთავს ხოლმე. აი, ასეთ საზიზღარ სანახაობას წარმოადგენს „მოამბის" მესამე ნომერი. მარა დავიწყოთ თავიდან.

ამ ნომრის ბელლეტრისტული ნაწილის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან ზოგის გაგრძელებაა და ზოგის დასაწყისი. აქ მხოლოთ ორი რამ არის, რაც სრულათ არის დაბეჭდილი: ერთი ბ. ვაჟა-ფშაველას „კლდემ მხოლოთ ერთხელ სთქვა" და მეორე ბ. იპ. ვართაგავას „ვინ არის მართალი?" ბ. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები ჩვენის აზრით, სუსტი პოეტური ალლეგორიაა, რომელშიაც გამოხატულია ერთი მხრით ჭეშმარიტების მქადაგებელი და მეორე მხრით ხალხის დაუდევრობა ქადაგებისადმი. რაც შეეხება ბ-ნ ვართაგავას, უნდა ვთქვა, რომ მას ჩინებული აზრი მოსვლია თავში, ე. ი. ჩვენი დღევანდელი სტუდენტობის ხელოვნურათ დასურათხატება; მარა ვერ ვიტყვი, რომ მას ხელოვნების ნიჭი ჰქონდეს. „ვინ არის მართალი"? შეგირდის ლიტერატურულ ვარჯიშობას წარმოადგენს და არა საჟურნალო წერილს. მეორე განყოფილებაში, თუ რიგზე ჩავყვებით პირველათ ჩვენ ყურადღებას იქცევს ბ-ნ ი. ნაკაშიძის კრიტიკული წერილი „ჩვენი ძუნწობა", რომელშიაც გარჩეულია ბ. კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერება". მართალი რომ ვთქვათ, არც ბ. კლდიაშვილის პიესა და არც ბ. ნაკაშიძ-ს წერილი დიდ საყურადღებოს არაფერს წარმოადგენენ; მარა მათ შორის დიდი განსხვავებაა: ბ. კლდიაშვილი, როგორც ჩვენ ერთხელაც შევნიშნეთ, ცხოვრების სინამდვილეს გვიხატავს. ბ. ნაკაშიძე კი თავის მხრით ცდილობს ამ ნამდვილი ცხოვრების ტიპები აგვიხსნას, მათი უგუნური, თუ გონიერი მოქმედების მიზეზი დაგვანახოს, მარა ამაოთ: იმის მაგიერათ, რომ ამ ცხოვრების რეალურ პირობებში ჩაგვახედოს, რომ ბარბაქაძენის (ერთი მომქმედი პირია „ირინეს ბედნიერებაში") ფსიხოლოგია და მათი მოქმედების მიზეზი გავიგოთ, ავტორი გვესაუბრება რაღაც „საფათერაკო უეცრობაზე, ბუნებრივ-სტიქიურ სიბრმავეზე, ბუნების უსინათლო, ბრმა ძლიერებაზე", შემდეგ ავტორი ამბობს, რომ „ცხოვრება თითქო უჩინარსა, მაგრამ მტკიცე საუკუნო და ღრმა აზრიან საფუძველზეა დამტკიცებულიო"... რომ ცხოვრებას რაღაც იდუმალი საფუძველი უძევსო" (გვ. 43, ხაზი ჩვენი გასმულია). მისი კრიტიკა ასეთ მისტიკურ აზრებზე არის აშენებული. ბ ნ ნაკაშ-ძის წერილს მისდევს ბ. ძველი ეკალის (ფსევდონიმია) ისტორიული მონო-

გრაფია (!) „მეფე ერეკლე II" დერჟავინის ეპიგრაფით, სადაც, როგორც მოგვითხრობს თვით ავტორი, აღნიშნულია „ის ფაქტორები, რომელნიც ჰქმნიან ცვლილებას ერის ისტორიულ ცხოვრებაში", ანუ რომელნიც „ისტორიას თურმე აკეთებენ" (გვ. 47, 49) ჯერ-ჯერობით ავტორს, მხოლოთ ხუთი ასეთი „ფაქტორი" აღმოუჩენია: გონება, ეკონომიური ვითარება ერისა, დიდ-ბუნებოვანი კაცი, ბუნება და პოლიტიკური განწყობილებანი სხვა ერებთა, — აი ის ხუთი ფაქტორები, რომელნიც, ავტორის სიტყვით, „ისტორიას თურმე აკეთებენ". მაგრამ უმთავრეს ფაქტორს ისტორიისას ავტორი გონებაში ეძიებს: არ არის გავრცელებული აზრი ხალხში, არ არის ერის წინსვლა; ერეკლე II-ს დროს არ იყო ერში გავრცელებული აზრი შეერთებისა; ამიტომ არც ეს შეერთება მოხდაო, — მსჯელობს ბ. ძველი, თუ ახალი ეკალი! თქვენ ამაოთ დაეკითხებით მას: ზეციდან უნდა ჩამოვარდნილიყო ეს აზრი, თუ ამ ჩვენ ცოდვილ მიწაზე უნდა გაჩენილიყო, აქვე უნდა განვითარებულიყო? თუ ზეციდან უნდა ჩამოვარდნილიყო, რათ არ ჩამოვარდა, რა დავუშავეთ, რა შევცოდეთ? თუ ისევ ჩვენ შორის უნდა დაბადებულიყო და გავითარებულიყო, მაშასადამე, ცხადია, რომ ამისთვის საჭირო იყო განსაზღვრული პირობები, საჭირო იყო ასეთი აზრის გაჩენისთვის ნიადაგის მომზადება. აქედან აშკარათ ჩანს, რომ ამის მომზადება გონებას აღარ შეეძლო, ვინაიდან თვით ეს გონება, ეს აზრი მერმინდელი წარმონაშობია, ის სხვა პირობების ნაწარმოებია. მაგრამ ჩვენ აქ არ ვიკვლევთ ისტორიის „მიზეზებს". ჩვენ მხოლოთ ბ. ძველი ეკალის მოსაზრებანი მოგვყავს. ავტორმა ზევით რომ მოიმადლიერა ლუი-ბლანი, ბოკლი და მილი; ახლა სურს მოიმადლიეროს კარლი მარქსიც (ასე წარმოიდგინეთ მის გარდაცვალების წელსაც კი მოიხსენიებს) ქონებრივი ვითარებაც მკაცრი (ხაზი ჩვენი გასმულია) ფაქტორია ისტორიისო — გაიძახის ის. მაგრამ ბ. ძველ ეკალს წაუკითხავს ვერნერ ზომბარტის წერილი: „საზოგადოებრივი მოძრაობა მე XIX საუკუნეში", ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ამ წერილის პირველი გვერდი, სადაც ავტორი ვითომ ცვლის მარქსის ღრმა მნიშვნელოვან აზრს, შემდეგ სიტყვებში გამოთქმულს: „დღემდე არსებულ საზოგადოებათა ისტორია სხვა არა არისრა, თუ არა ისტორია ბრძოლისა". მაგრამ ბ. ძველი ეკალი რომ გარჯილიყო და მთელი წერილი ბოლომდის გადაეკითხა, მიხვდებოდა, რომ ზომბარტს ოდნავაც არ შეურყევია ზევით მოყვანილი აზრი მარქსისა; უკეთ რომ ვთქვათ, მან კიდევ უფრო ნათელჰყო ის. ცხადია, ბ. ძველ ეკალს ასეთ საგნებზე სჯა-ბაასი არ ეხერხება და გურჩევთ, მან ისევ „მე გახლავართობის" [1]) ხელობას დაუბრუნდეს. ხოლო რაც შეეხება თვით სახელოვანი მეფის, ერეკლე მეორის, დაცვას, ძველი ეკალისაგან ან „მეკახლავარისაგან", ეს სწორეთ არც თვით დიდებული მეფისათვის არის სასახელო.

„მოამბის" მესამე ნომერში შემდეგ არის მოთავსებული „ქუთაისის თავად-აზნაურობის მოხსენება ერობის შესახებ". ამ წერილში მოყვანილია, სხვათა შორის, ცნობები იმის შესახებ, თუ რას იხდის მთელი ქუთაისის გუბერნია და რა იხარჯება მისი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. აქედან ჩანს, რომ რაც გუბერნიაში საერობო ხარჯი იკრიბება, მხოლოთ მისი ნახევარი ხმარდება ამავე გუბერნიას (681,253 მანეთიდან 347,341 მ. ხმარდება ადგილობრივ საჭიროებას). ამიტომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შუამდგომლობს ერობის დაწესებულებათა შემოღებისთვის, რომ ფული ერთიანათ ქუთაისის გუბერნიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოხმარდესო. სამეურნეო კრიზისიაო და მხოლოთ ერობა დაიცავს მას ამისგანო (გვ. 68—9) და სხვა ამისთანები. გადავდივართ ახლა „მოამბის" უკანასკნელ სტატიაზე, რომელიც ჩვენ გაზ. „კვალს" ეხება და რომელიც მხოლოთ ბაზაზხანური ლანძღვა-გინების ჭურჭელს წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, რომ „მოამბე" დაარსებიდანვე იბღვირებოდა „კვალზე" და უმეტესათ მის თანამშრომელ-ხელმძღვანელებზე: გიორგი წერეთელზე და ნოე ჟორდანიაზე. რა იყო ამის მიზეზი, — ეს თვით მკითხველებმა განსაჯონ. ჩვენ აქ ბ-ნ Z-ს, რომელიც ნიღაბ-ჩამოფარებული იგინება და ილანძღება, მისი შესაფერი სიტყვებით ლაპარაკს არ დავუწყებთ; ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ აქ იმ გარემოებაზე, რომელსაც ისე განურისხებია ბ-ნი Z-ი, რომ მას აღარც ლოღიკა ახსოვს და აღარც ზრდილობა. „კვალის" ამ წლის პირველ ნომერში ნათქვამი იყო: „უარვყოთ გამათახსირებელი შენ-ჩემობა საზოგადო საქ-

---

1) მართლა კინაღამ დამავიწყდა: ბ. ძველ ეკალს ერთი საჯაყი საქმე მოსვლია, განზრახ თუ უნებლიეთ, ეს კი არ ვიცი: სხოლიოში 47 გვერდზე ის მკითხველებს უთითებს ერთ წერილზე, რომელიც ამ წლის „ივერიის" № 9-ში იყო დაბეჭდილი და რომელსაც ბოლოზე „მე გახლავარი" ჰქონდა მოწერილი. ხსენებული წერილი იმდენათ უნიჭოა, რომ არც ერთი ლიტერატორი, თუ ცოტაოდენი თავისმოყვარეობა აქვს, დაწერის შემდეგ აღარ იტყვის: ის ჩემიაო, მაგრამ ბ. ძველი ეკალი რაღაის ძველი ეკალი იქნებოდა, რომ ასე არ მოქცეულიყო: „მეგახლავარ" მეგახლავარო, ყვირის ის. აი, ამას ჰქვია: выдать себя головою!

მეში, მოკვრიდოთ პირად ბრძოლას, აგლაგმოთ პირადი გულისთქმა და მედიდურება, სამაგიეროთ წინ წამოვაყენოთ ხალხის სურვილები და თავმოყვარეობაო". „მოამბის" უსახელო ავტორი გვეუბნება, რომ ყოველიფე ეს კარგიაო, მაგრამ ნუ ჟორდანიამ თითონვე უარჰყო და დაივიწყა ეს თავისივე აღთქმაო და პირადობას შეეხო „კერძო, საოჯახო საქმის (კურსივი ავტორის არის) განსჯაში" შეცდომა! როგორ მოხდა ეს? 4 მარტს მოხდა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობის" კრება, რომლიდანაც გამოაძევეს ბეჭვდითი სიტყვის წარმომადგენელნი. ჟორდანიამ გამოაქვეყნა და დაჰგმო კრების ასეთი საქციელი. ეს, რასაკვირველია, არ ეპიტნავებოდათ „ჯაბადარის და კომპანიის" მომხრეებს და ამისთვის უსახელო ავტორთან ერთათ მორთეს ყვირილი: ჟორდანია ჩვენ „კერძო საოჯახო საქმეში" ჩაერია, ამიტომ მან შელახა პირადობა, მან უარჰყო თავისივე დაპირებაო! ერთი შენ განსაჯე, მკითხველო: ნუ თუ „ქართველთა წიგნების გამოცემის ამხანაგობა" მართლა „კერძო, საოჯახო" საქმეა, და არა საზოგადო? თუ ეს ასეა, მაშინ ყოველივე ჩვენი დაწესებულება, როგორც მაგ., ბანკები, „წერა კითხვის საზოგადოება", კერძო საოჯახო საქმე იქნება, და ჩვენ სხვა აღარა დაგვრჩენიარა, გარდა პირის დამუწვისა და გაჩუმებისა. მაშ ამიერიდან ითარეშონ და აფათურონ ხელები კერძო პირებმა ყველა საზოგადო საქმეში: იმათ შესახებ ცუდის თქმა ხომ არ შეიძლება, ვინაიდან ისინი კერძო პირები არიან: ერთს ივანე ჰქვია, მეორეს პეტრე და სხ. ქურდს ქურდათ ვერ აღიარებ და პატიოსანს პატიოსნათ. რას მიქვია საზოგადო საქმე: ის კერძო პირების მსხვერპლი უნდა შეიქნეს! აი, ამას გვიქადაგებს ჩვენ „მოამბე". უსახელო ავტორსაც ბ. ჟორდანიას წინაამდეგ კიდევ ის საბუთი მოჰყავს, რომ ასეთი წესი (ე. ი. ბეჭვდითი სიტყვის წარმომადგენელთა გამოძევება საზოგადო კრებიდან) ჰქონდა მიღებული ამ ამხანაგობასო" (გვ. 84) „ციხე შიგნიდან გატყდებაო", სწორეთ ამისთანაებზე არის ნათქვამი. სწორეთ იმიტომ წასულა ამხანაგობის საქმე ასე ჩინებულათ, რომ ასეთი ჩინებული წესი ჰქონებიათ შემოღებული! შემდეგ ბ. ჟორდანია ამბობდა, რომ კრებიდან პრესის წარმომადგენელი იმიტომ გამოაძევესო, რომ ამხანაგობის გამგეთ ჩუმათ და მალულათ სურთ მისი საქმეები მართონო. უსახელო ავტორი ამის შესახებ კითხულობს: „რომელ ლიტერატურულ ტიბიკონში სწერია მალულათ გააწყოს თავის საქმეო... მერე სად არის ამის რეალური საბუთიო?" (გვ. 88—7) „ლიტერატურული ტიბიკონი" თქვენთვის დამითმია, ბ-ნო უსახელო ავტორო! ხოლო ბ. ჟორდანია იმას წერდა და იმას ლაპარაკობდა, რასაც ფაქტები ლაღადებენ. ამხანაგობის წესდებაში წერია, რომ ყოველ წლივ ხდება წევრთა საზოგადო კრება. ფაქტები კი ამას ლაღადებენ, რომ სამი წლის განმავლობაში საზოგადო კრება არც ერთხელ არ მოუწვევია გამგეობას და მან არც სარევიზიო კომისიას დაანება საქმეების გაშინჯვა. რას ნიშნავს ეს თუ არ წესების სრულიად დარღვევას და საამხანაგო და საზოგადო საქმის ჩუმათ და მალულათ" მართვას? ვის არ მოაგონდება აქ პოეტის სიტყვები „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!" *)

მკითხველი.

---

*) ჩვენ ამაზე მისამართი არაფერი გვაქვს. ესეც ბევრია ისეთი შუა-ბაზრელი ავტორისათვის. მას რომ თავის წერილის არ რცხვენოდეს და თავისი მიეთ-მოეთოვა საზიზღრათ არ მიაჩნდეს, პირბადეს აისხდიდა და გაუკეცურათ წინ-წამოდგებოდა. ხოლო ვისაც ამდენი გამბედაობა არა აქვს, ვინც ანონიმურ წერილებით ილანძღება, ის ღირსი არ არის ყურადღების და გამოლაპარაკების. ასეთ უსახელო წერილებს სახლშიაც ბევრი მიიღებს, მერე გოდორში უკრავენ თავს. ხოლო რაც შეეხება თვით „მოამბეს", ის, უპატრონოთ დაგდებული, რაღა გასაკვირველია ასეთ ტაგი-მასხარათა საბუდრათ რომ გახდეს. მკითხველი რაც უფრო მალე დაივიწყებს ასეთ ჟურნალს, მით უკეთესია და ამიტომ ამიერიდან ვსპობთ მის შესახებ „კვალში" რეცენზიების ბეჭდვას.

ნ. ჟ.

## პოლიტიკური ამბები ოსმალეთში.

კონსტანტინოპოლში აქ ამ უკანასკნელ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იაპონიის თავადის კონოიეს წარმოთქმულმა სიტყვამ ჩინეთთან დამეგობრების შესახებ. ამ საგანს აქ იმდენათ დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რომ დარწმუნებულები არიან სიტყვის საქმეთ ქცევაში. „ეჭვი არ უნდაო,—თქვა ერთმა საპატიო პირმა,—იაპონია ჩინეთს შეუერთდება და ევროპის უთავბოლოთ და ყოველგან ცბიერ პოლიტიკას ფრთას შეაკვეცენო". ამ სიტყვებში ცხადათ ჩანს ის იმედი, რომ ოსმალ-იაპონიასა და ჩინეთს შუა ცოტათ თუ ბევრათ სიმპატიური კავშირი უნდა იყოს და თუ, როგორც ეს ოსმალებს რწამთ, ეს კავშირი შეიკრა, ამისი ავტორი იაპონია იქნება ინგლისის შემწეობით. რასაკვირველიაო,—განაგრძო იმ საპატიო პირმავე,—ეს გარემოება, ე. ი. იაპონია-ჩინეთის კავშირი ომს გამოიწვევს. და ეს ომი კი თავდაპირველათ რუსეთთან მოხდება, როგორც მიზეზთან იაპონიის ჩინეთში ომის მოგების სარგებლობის

ჩამშლელთან. მაშინ მახლობელ აღმოსავლეთის კითხვა რამოდენიმე ათი წლით უკან დაიწევა. აი, ამ ხანებში-კი ჩვენ, თუ სრულიად არ დავბრმავდით, გამოვაცხადებთ ჩვენ კაცურ ღირსებასაც, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენი ყოვლად მოწყალე იმპერატორი შემოიღებს მოსალოდნელ, რეფორმებს და გადავარჩენით იმ სამუდამო და სამარცხვინო ქვეყნის ყვედრებასაო.

გარდა ამისა, ოსმალეთი დღეს კიდევ მეტ იმედს გერმანია-ავსტრიაზე იჭერს. „ასე აშკარათ, ასე ცხადათ და უშიშრათ ჯერ არც ერთ სამეფოს არ დაუჭერია ჩვენთან კავშირი, როგორც გერმანიასო,—ამბობენ თათრები,—და ეჭვი არ უნდა, გერმანია, როგორც ყველაზე ნაკლებ მოწადინებული პირი ბოსფორის დაპყრობაზე, ეცდება, რომ ჩვენ ხელუხლებლათ დავრჩეთ აქ. ჩვენ კარგათ გვესმის ისიც, რაც რუსეთს სურს და ამისათვის ყოველ ღონის ძიებას ეხმარობთ არც მას ვაწყენინოთ, რამდენათაც ეს ჩვენზე არის დამოკიდებული. მაგრამ რუსეთზე ცოტა არ იყოს, ჩვენ დღეს გულნაკლებათ ვართ; ეს იმიტომ რომ, კრიტის გულისთვის საზოგადოთ ევროპისა და კერძოთ კი რუსეთის თანხმობით ჩვენ იმოდენა ხარჯი გავწიეთ, იმდენი ხალხი გაწყდა, და ახლა კი, გარდა იმისა, რომ არავითარი ტერიტორიული შემოერთება არ დაგვანებეს, თვით კრიტსაც ხელიდან გვართმევენ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ის კი მოსათმენია განა, რომ კრიტი, რომლისთვისაც ამოდენა უბრალო სისხლი დაიღვარა, ისევ ბერძნებს გადავეცეთ? ეს ასე ხდება მაშინ, როცა ომი ჩვენ მოვიგეთ. ნეტავ რა იქნებოდა, რომ წაგვეგო?... ვიცით... ვიცით, რაც იქნებოდა. თუმცა პირობა ისეთი იყო, —ამ ომით არც ერთ მხარეს არ უნდა ესარგებლა, მაგრამ ეს მარტო ჩვენ შესახებ ცბიერათ წარმოთქმული სიტყვები იყო. კარგი რომ ღმერთმა დაგვიფარა, თვარა ვინ იცის ახლა დაგლეჯილ დანაწილებულიც ვიქნებოდით და ანუ, როგორც ბევრს ჰგონია, ჩვენვე შემოვიყვანდით ბოსფორში რუსის საომარ გემებს.

მართლაც აქ ყველა იმ აზრისა არიან, რომ თუ ბერძნებს ცოტათი მაინც გაემარჯვებია, სულთანი მაშინვე სტამბოლის დასაცველათ რუსის ჯარს შემოიყვანდაო.

მოხდებოდა თუ არა ეს, ძნელი სათქმელია, მხოლოთ ის კი ცხადათ ახსოვს ყველა აქ მცხოვრებლებს, რომ ერთ საღამოს, როცა ხმა გავრცელდა ბერძნებმა ძლიეს ოსმალთაო, აქეთ-იქით გაიძახოდენ, ხვალ დილას რუსის ფლოტი აქ იქნებაო.

ასე თუ ისე დღეს უპატიოსნესი რუსის სახელიც კი აქ საზიზღრათ მიაჩნიათ და გერმანია კი, გინდ ყოვლად საძაგელიც იყოს, ყოვლად პატიოსანი და კეთილი ჰგონიათ—ამფერია ქვეყანა და მეტადრე კი თათრები „ვინც ჩვენკენ, ის ღვთისკენო“.

ამ ერთ თვეში სტამბოლი ისეთ რასმე მოელის, რაც ეგებ არასოდესაც არ ენახოს, ის ემზადება გერმანიის იმპერატორის შესაგებებლათ. უმთავრესი ქალაქის ქუჩები უკვე შეასწორეს. ზოგან, საცა ძრიელ უსწორ-მასწორობა იყო თვით გამოზიდული სახლებიც დაანგრიეს და ქუჩა გაასწორეს; აგრეთვე „კე“ სრულიად გაასასტიკეს. ერთი სიტყვით ყველა ის ადგილები, საცა შეიძლება გაიაროს ვილჰელმმა, საუცხოოთ იქნება მორთული. მას მიიღებენ დოლმაბაღჩის საუცხოვო სარაიაში. სულთანი წინანდებურათ შეეგებება მას დოლმა-ბაღჩა-სარაიაში და იქიდან კი პირდაპირ მიიწვევს მისთვის მომზადებულ საუცხოვო კოშკში, რომელიც უნდა ალიგოს ამ რამდენსამე დღეში ილდინ კიოსკის მახლობლათ. ვალორომ, რომელსაც მიენდო ამ კოშკის აგება, საქმე უკვე დაიწყო. კოშკი დაჯდება 60 ათასი ლირა. გარდა ამისა მარტო მისი მოწყობილება ეღირება 40 ათას ლირათ. როგორც ჰგონიათ ვილჰელმის მოსვლას აქ დიდი პოლიტიკური ცვლილებაც უნდა მოჰყვეს. ვილჰელმ იმპერატორს მახლობელ აღმოსავლეთის სრულიად არა ეფიქრებარა; ის ფიქრობს შორეულ აღმოსავლეთზე და მისი აქ მოსვლა ოსმალეთთან მჭიდროთ დაკავშირებას უნდა მოასწავებდესო, აქ ასე გაიძახიან. აქ გერმანიის იმპერატორი, მზადებისა და-გვარ, კაი ხანს უნდა დარჩეს—ეგებ ოცი დღეც, და აქედან კი ის, უკვე განსაზღვრულ გზას გაუდგება იერუსალიმისკენ.

ამ ბოლო ხანებში ძრიელ გახშირდა სულთანზე არძის ძლევა. წინეთ ამ საქმეს სულამლიკის დროს ასრულებდენ, მხოლოთ მას შემდეგ, რაც სულთან ჰამიდმა თვით სასახლის კარზე აიგო მეჩეთი, ეს შეუძლებელი შეიქნა. ახლა შიგ მეჩეთში ახერხებენ ამას. გასულ კვირას, გათავდა თუ არა ლოცვა, წამოდგა ერთი ვეებერთელა ხამალი-მუშა და ათი მინუტის განმავლობაში ყვიროდა ვიცოცხლოს სულთან ჰამიდმაო და სხვ., აქვე მისცა არძა სულთანს ცნობილმა ბელეტრისტმა იური კაზიბეკმა გაზეთი „ბოსფორი“-ს ნებადართვისთვის. ერთ თათრის მაიორსაც სურდა აქვე არძა მიერთმია, მხოლოთ ვერ მოახერხა და როცა სულთანი გარეთ გამოვიდა, იხელთა, როგორღაც გაძვრა აუარებელ ჯარს შუა და შიგ ფეხებში დაეცა სულთანს. ყველა სახტათ დარჩა. სულთანმა ის სარაიაში გაგზავნა და მეორე დღეს ჩინი მიუმატა.

ამავე პარასკევს სულთან აჰმიდი წაბრძანდა გამოფენის დასათვალიერებლათ ქეად-ხანის (ილდიზ კიოსკიდან ნახევარი საათის გზაა ეტლით) თავზე, რომე-

ლიც კეთდება ომში დაზარალებულ ხალხთა სასარგებლოთ; ამ ამბავმა არა თუ აქაური მართლ-მორწმუნენი, თვით ევროპიელებიც გააკვირვა. ამ ოცდა ერთი წლის მის მეფობაში ეს არ მომხდარა. ის გარდა ხირკარი შერიფისა რამაზანში არაოდეს თავის სახლის კარს არ გაცილებია და ახლა კი ისეთი ადგილები დაათვალიერა, როგორიც არის ქეად ხანის მიდამო. ეს მართლა რომ საკვირველება მოხდაო, ამბობენ.

იასე რაჭველი.

---

## თინას ლეკური *)

### I.

ციორგობის თვეა, გიორგობა დღე. საშინლად ცივა; თუმცა ჯერ ზამთარი არ დამდგარა, მაგრამ მისი წინა მორბედი რთვილით მთლად გადაპენტილია მთელი სოფელი ზედაშენი.

სუსხი ძვალსა და რბილში უვარდება კაცს და სიცივით ჰკუნტავს, ხელებს უბეში აყოფინებს და ჩვეულებრივ ქართულ მძიმე ნაბიჯს აჩქარებინებს.

ყოველ ბანიდგან ძრიელი კომლი ამოდის, დიდი და პატარა ცეცხლს აჩაღებს, რომ მისის სხივით მაინც ინუგეშოს გაჟუტულ პატარძალივით ღრუბლებში მიმალულ მზის გამოჯავრებული.

მთელ სოფელში მარტო თინას კერაა გაციებული, მარტო მისი შვილიშვილები სიცივისაგან გალურჯებულნი სხედან ცივ კერასთან და ძველ ნაგლეჯ საბანში გახვეულნი მშიერი მგლის ლეკვებივით ყმუიან: „დიდედო, ცივა, ცივა! დიდედო, გვშია, გვშია“!..

რა ქნას საწყალმა თინამ, რა უშველოს, საიდგან გააჩინოს ან ცეცხლი და ან ლუკმა? ვის მიმართოს, ვის სთხოვოს ნუგეში! გაუჭირა საქმე მეზობლებს ჩინჩხვრის თხოვნით, სხვის კარ-მიდამოზე ნაფოტის კრეფით; ვენახების ღობეზე ფიჩხის მტვრევისთვის ხომ არა ერთხელ იყო ნალანძღ-ნათრევი! სხვის ვენახიდგან ჩუმად სარების გამოტანა ხომ მძიმე ცოდვათ აღევს თინას კისერზე.

აი ორიოდ ჩანახი ფქვილი კიდევ უყრია გოდრის ძირში, მაგრამ რითი გამოაცხოს? აგერ დღე-ნახევარია თვალი უჭირავს, რომ ეგებ მეზობელმა თონე გაახუროს ვინმე, რომ გაციებულ თონეზედ ლავაშები მაინც მიუკრას ბალღებს, მაგრამ სად არის!

---

*) ავტორის თხოვნით მისი მართლ-წერა დაცულია.

რედაქტ.

უველამ სადღესასწაულოთ ადრე დაიმზადა ნამცხვარი და ახლა არხეინად სხედან.

ნეტა ლონე მაინც მქონდეს, რო აი გალმა ქალაში გავიდე, გამხმარი ჩირგვები, ძეძვები მივჩეხ მოვჩეხო და სული როგორმე მოვიბრუნო, ტუტუნებს საწყალი თინა, მაგრამ ეს წყეული გულის კანკალი მკლავს, მუხლებს მიდუნებს, კლავები სულ ძირსა მცვივა; ზევრჯელ ისე შემხუთავს გულსა, ისე წამიჭერს ყელში, რომ აჰა გავთავდი დედაკაცი და ეს არის! ამ მწუხარებამ ხომ სულ ერთიან ძალა გამამაცალა: „ოხ წყეული იყავ და შეჩვენებული, ჩემო რძალო, რომ უნამუსობამ წაგძლია, გათხოვდი და ეს უსუსური ბავშვები მე, უსუსურს და ცოცხალ-მკვდარ დედაკაცს მომიყარე“!

— ბები, პური, ერთი ბეწო პური! გაიძახოდნენ დამშეული ბავშვები.

— რა ვქნა, რომელ წყალში გადავარდე? უნუგეშოთ გადმოყარა ცრემლები თინამ და თან დაუმატა: ერთი ბატონიანთამდინაც ველარ ავედი, რომ ხელი გამენძრია, გამეკეთებინა რამე. დღეს ბატონის დღეობაა, მრავალ სტუმრებს თურმე მოელიან, ერთ ორ გროშს მაინც ვიშოვიდი, ორიოდ ლერ შეშას მაინც გამოვთხოვდი! მაგრამ იმ მაღლობზე როგორ ავიდე, როგორ ავატანო ამ გულის კანკალის გადამკიდე.

— ბები, პური, ერთი ბეწო პური! საცოდავათ ილმიჭებოდნენ ბავშვები.

— ოხ ღმერთო, შენ მიიბარე ჩემი ცოდვილი სული და ამ საცოდაობას მამარჩინე! ისეთის სასოებით და სასოწარკვეთილებით შეჰვედრა თინამ მაცხოვარს, რომ ბავშვებმაც კი იგრძნეს იმ ვაების ძლიერება და ტირილს უფრო მოუმატეს: „რათა, ბები, რათა? ჩვენ რაღა გვეშველება, ჩვენ ვიღა გვაჭმევს ლუკმას“!..

უცებ დუდუკის ხმა მოისმა შორი ახლო მდგომ ბატონის სახლიდამ და მისმა მხიარულმა, ეშხით სავსე წკრიალმა ქაჯის ხარხარივით გაირბინა ამ უბედურთა სადგურში და თითქო მწარის დაცინვით ხმა მისცა მის დამშეულ მცხოვრებთა ტირილს.

თინას ამ ხმაზე თითქო რაღაც გაახსენდა, იმის ათასად დაღარულ, გაყვითლებულ პირი სახეზე ღიმილმა გადირბინა; მის ნუგეშ დაკარგულ გულში რაღაც იმედმა გაახილა თვალი და წამს წინად დავრდომილი და მკვნესავი ფეხზე ააყენა.

თინამ პირი დაიბანა, თავზე სუფთა, ათასის საკერებლით დაკონკილი თეთრი ჯალაშის ლეჩაქი მოიხვია, ფეხებზედ სუფთა ლაზლის წინდები ჩაიცვა, ფოსტლების ნაგლეჯში ფეხები წაჰყო და დუდუკის ხმისაკენ გაეშურა.

ბატონიანთ სახლი კარგა მაღლობ სერზედ იდგა და თინა თავისის გულის ავანტყოფობის მიზეზით დიდის ვაგლახით და გაჭირვებით მიაბიჯებდა, მაგრამ მის თვალწინ, მის მოგონებას ისეთი საოცნებო, ისე ფერად-ფერადი ზოლებით მოქარგული სურათი ეხატებოდა, რომ თავის გაქანებულ ქშენას, ყელში მობჯენილ სულს ყურს აღარ უგდებდა და მხოლოთ მოგონებით გამოწვეულ სიტკბოებაში იფლობდა.

მის სამოცი წლის მოწყალებით დაბინდებულ თვალებში თითქო ცეცხლიც კი აინთო, მის მიწისფრად ქცეულ პირი სახეს ალის ფერმა გადაჰკრა: უკბილობით ჩავარდნილი მოკუმული ტუჩები ოდნავ გაელო და ზედ ნეტარების ღიმილი დაჰხაროდა: „ნეტა იმ დღეს!,—გულის სიღრმიდან ოხვრიდა საწყალი თინა,—სწორედ ორმოცი წელიწადია მას აქეთ, ისე მახსოვს როგორც გუშინდელი დღე და ან როგორ უნდა დამეიწყებოდა! იმაზედ უკეთესი რა უნახავს ჩემ თვალებს!

თუმცა ამ პატარა ბატონმა თავის მამისეული სახლი გაახლა, გაადიდა, გაამშვენიერა, მაგრამ ისევ იმ ალაგას კი სდგას და ამაყათ გადმოჰყურებს მთელ ჩართულას ხეობას. ცხონებული დიდი ბატონი მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მშვენიერ დიდი გვარიშვილის ქალზედ იწერდა ჯვარს და დიდებული ქორწილი გადაიხადა. მაშინაც სწორედ ეს გიორგობისთვე იყო, თუმცა ასე არა ციოდა, მაგრამ გიორგობული სუსხი კი მაინც ტრიალებდა. თავადებს გარდა, შვიდი სოფლის გლეხ-კაცობა ჰყავდა მოწვეული, მე სულ წლის მოყვანილი პატარძალი ვიყავ. მწვანე ფარჩის კაბა მეცვა, ალისფერი სარტყელ-გულისპირით, ფეხებზედ ალისფერი ახალციხური წუღები. ჰაი, დედას, მე კი არ ვიყავ აბა ყმაწვილი ქალი! მთელ ქორწილის ხალხში ისე ვირჩეოდი, როგორც ობოლი მარგალიტი. „აი დაილოცა შენი მშობელ-გამზრდელიო“, მესმოდა აქეთ იქიდან და ძოწისავით ვწითლდებოდი...

— აბა პატარძალს პატარძლების ლეკური უჩვენეთო! ბძანა დიდმა ქალბატონმა და ჩვენც იმ დარბაზში შეგვიყვანეს, რომელშიაც მეფე-დედოფალი ბძანდებოდნენ. მე თავ ჩაღუნული, მორცხვათ სხვებს ვეფარებოდი და სხვა სოფლის პატარძლები კიდევ ერთმანეთს, უკან დედამთილები და უმფროსები გვიდგნენ, გაისმა დაირა და დიმპლიპიტო და თითო თითოდ გამოვედით პატარძლები სათამაშოდ.

როცა ჩემი ჯერი მოდგა, მუხლები ამიკანკალდა, გული ამითამაშდა, სახეზედ ცეცხლი წამეკიდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, გამოველ, აქეთ იქით დაბლათ თავი დაუკარ და კლავები გავშალე, გავშალე და დავტრიალდი. აქეთ იქიდან ვაშა, ვაშას ძახილი მოისმა, დამკვრელებმა საკრავების დაკვრას მოუმატეს, ტაში გაძრიელდა... შემდეგ რას ვჩადიოდი აღარ მახსოვს, გონს მხოლოდ მაშინ მოველ, როდესაც დედამთილმა ჩამამძახა: „აკრიფე ე შაბაშის ფული და ბატონებს მადლი გადუხადეო“. ჩემ წინ ექვსი თუ შვიდი ჯვრიანი ვერცხლის მანათიანი პრიალებდა და ქართული ორ აბაზიანები ხომ რამდენიმე... ამ ალაგას შესწყდა თინას ბრწყინვალე მოგონება და დროც იყო, ის ბატონიანთ კარებზე იდგა და ქაქანით იხრჩობოდა. „ღმერთო, ეს რა მემართება, ეს რა უცნაურად, რა მძლავრად ადის და ჩადის ჩემი გულის ფიცარი! სულიც მეხუთება, ორთავ მკლავები მწყდება, გული მისკდება ტკივილით, ძარღვებში თითქო სისხლი მეყინება! ნუ თუ ჩემი ახსასრულის დღე დადგა?.. ბავშვები, ბავშვებს რაღა ეშველებათ?

გალურჯებული, თვალებ ჩასისხლიანებული თინა კიბეზედ იჯდა, თავის ბერკეტზედ დაბჯენილი, სიკვდილის მოახლოებას ჰგრძნობდა და როგორც ყოველი მომაკვდავი, შიშით ძრწოდა. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არსად მოსჩანდა, ყველა სულდგმული სახლში იყო და იქ გამეფებულ ლხინს შეჰყურებდა და შეჰხაროდა.

დიდხანს იყო თინა სიკვდილსა და სიცოცხლის შუა. შემდეგ გული ნელა ნელა დაუწყნარდა, სისხლმა ჩვეულებრივ უწყო მოძრაობა, სუნთქვა გაუადვილდა, კლავების ტკივილი დეეშვა, სიკვდილის შიშმა გადუარა და ის წყნარად შევიდა სახლში და მოსამსახურეთა ჯგუფში შეერია.

II

დიდი ლხინია, დიდი! ჩვენებური, ძველებური, უზომო და გონიერი.

პურადი, უხვი მასპინძელი მზესავით გაბრწყინვალებულის სახით თავს დასტრიალებს თავის აუარებელ სტუმრებს და ყველას ერთად და თვითეულს განსაკუთრებით ტკბილის სიტყვით, მიმზიდველის ღიმილით იწვევს, ახალისებს სალხინოთ და სალაღობოთ. ორას-სამას კაცამდე წვეულნი უმაღლეს მხიარულების წერტილამდის არიან მისულნი.

ალაგ-ალაგ ხმა შეწყობილი, ტკბილი ღიღინი მოისმის, ალაგ-ალაგ ლოთური „ჰარი-ჰარალი“! შორს დარბაზის კუთხეში დუდუკი შიქასტას ღუღუნებს, საზანდარი „რაჰაბს“ მღერის.

ქალნი ნაზობენ, კეკლუცობენ, თვალთაგან ცეცხლებს აფრქვევენ, ვაჟკაცნი შეზარხოშებულნი მათ თვალთ გიშრისა ტბაში სიამოვნებით ჰბანობენ. ტოლუმბაში, ღირსეული მეთაური ღირსეულის კრებულისა, ღირსეულად ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას და ისეთის მჭევრმეტყველებით და გატაცებით წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს, რომ სუყვე-

ლანი ერთ ხმივ, დაუყოვნებლივ ასრულებენ მის ბრძანებას და სიამოვნებით სცლიან ლალის ფერი ღვინით ავსილს ჰიქა-სტაქანს.

ლხინი იქამდის მივიდა, როდესაც კაცის ბუნება ველარ იტანს ერთ ალაგას ჯდომას და უფრო მძლავრს მოძრაობას, უფრო მძლავრ გამოხატულებას, მხიარულებას ებრძვის.

— აბა, ოსეფავ, ლეკური! ვილამაც დაიღრიალა და მონასტერი აირია. ხალხი აიშალ-დაიშალა, სტოლები მისწი-მოსწიეს, ძვირფასათ მოწყობილი სუფრა მგლების ნასუფრალივით გაილელ-გამოილელა. შეიქნა მისვლა-მოსვლა; სიცილ კისკისი, ხარხარი, ლეკურმა უცბად შესცვალა დუდუკის წყნარი შიქასტა.

საჩქაროდ გაკეთებულ წრეში გაჩნდა მშვენიერი ახალგაზდა, ალვის ხის მზგავსი ტანადი; მან არწივივით გაშალა თავისი მძლავრი კლავები, კისერი კეკლუცად მიმოხრა და ნელა-ნელა რხევით, ფრთების მაგვარი მკლავების ქნევით, ჩოხის კალთების შრიალ-ფრიალით ლეკური ჩამოუარა; ის აქეთ იქით ავლებდა თავის მშვენიერ შავ ბრიალა თვალებს და თითქო ვილაცას ეძებდა მრავალთა მშვენიერთა შორის ლეკურში გამოსაწვევათ.

დარბაზის გაღებულ კარებში მრავალი მოსამსახურენი იდგნენ და პირდაღებულნი უცქეროდნენ ბატონების ლხინს და ნადიმს; ამათში ორიოდე გლეხკაცის ჭუჭყიანი მაზარაც მოსჩანდა და მათ შორის დედაკაცებიც მორცხვათ გამოიყურებოდნენ. უცებ ამ კარებიდგან წამოვიდა ბებერი თინათინა, ოთახის კუთხეში მიაყუდა თავისი ბერკეტი, იქვე ფლოსტები წაიძრო და მარტო წინდების ამარა, ყმაწვილ მოთამაშეს გამოეთამაშა. სტუმართ ყიჟინი ასტეხეს, დართულნი და ბრწყინვალე მანდილოსანნი ისტერიულმა სიცილმა შეიპყრო, სახლის პატრონი გასახტებული, გაოცებული იდგა და არ იცოდა რა ექმნა, გვეგდებინებინა ლაქიებისათვის ეს გამბედავი, კონკებში გახვეული მოხუცი, თუ სხვებთან ერთად დაეწყო სიცილი და აღტაცებული ყიჟინი.

თინა კი ამასობაში, ხელებ გაშლილი, თავ აღებული, ტუჩებ მოკუმული, სერიოზნათ, ციბრუტივით ტრიალებდა, ძველებურად ბუქნით უვლიდა დაილურს. თავმომწონე ვაჟკაცი არ შეკრთა, არ იუკადრისა დაგლეჯილ, ჭუჭყიან ძონძებში გახვეულ მოხუცთან თამაში და საერთო სიცილ-ხარხარით გახელებულმა დაჰკიჟინა და დაჰკიჟინა თავის მშვენიერ „დამას“, განივრათ გაშლილი კლავები თავზედ გადააწყო და მოღიმარი თვალები, ვითომ არშიყობით, დამჭკნარ, მკვდრის ფერად ქცეულ სახეზედ დააშტერა. სიცილ-ხარხარმა სიგიჟემდის მიაღწია.

ქალებს მეტის სიცილით თვალებიდგან ცრემლები სდიოდათ, კაცების ტაშის კვრით და ვაშას ძახილით სახლი ზანზარებდა. მოსამსახურეები შეუნიშნავად ბატონებში აირივნენ და მათთან ერთად ქივილ-ხიოდნენ.

დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადაატრიალა, ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა.

საკრავის ხმა შესწყდა. მოკიჟინე ქალ-ვაჟთ ულმობელი სურათის წინ ბაგე შეეკრათ. მხიარული სახლის-პატრონი მთლად დაიბნა.

წამის წინად ცამდინ აწვდენილი ბედნიერთა მხიარულება უკიდურეს მდუმარებით შეიცვალა.

პოლზედ გაშეშებული ეგდო სათამაშოდ ხელებ გაშლილი, თვალებ დაჭყეტილი, საოცარის ტანჯვით ჯვარცმული თინათინა და თავისის საზარელის შეხედულებით იქ მყოფთა გულში რაღაც ტკივილ', რაღაც სვინიდისის ქენჯნას იწვევდა.

არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ხმა არ არღვევდა ამ საშინელ სურათს, რომელსაც სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლმე ცოცხლებს და გაახსენებს სოფლის ამაოებას.

— ბები, ბები! მართლა მოკვდი?! პურს ვილა გვაჭმევს! გაისმა ამ საოცარ სიჩუმეში და ბებიის მოლოდინით გაბეზრებული ორი მშიერი, ტიტვლიკანა, სიცივისაგან გალურჯებული ბალღი შემოვარდა ოთახში და ღრიალით დაეკონა გაციებულ გვამს. სურათი შემზარავი იყო; აქამომდე გამეფებული მდუმარება დაარღვია საერთო ტირილმა და წამის წინათ ხარხარით მოლაღლული საზოგადოება ეხლა გულწრფელად ღვრიდა მდულარებას.

— მოწყალება ობლებს! ვილამაც წამოაყრანტალა.

გულგალმობიერებულმა საზოგადოებამ ხელი იკრა ჯიბეს და უხვად გასცა მოწყალება.

თინას ლოცვა აუსრულდა, იმან სამუდამოთ განისვენა და მისმა უკანასკნელმა „შაბაშმა“ მის ობლებს ლუკმა გაუჩინა.

ეკ. გაბაშვილისა.

---

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მაღაზიებში მ. ა. ბარქალაიას მიერ გამოცემული

ახალი წიგნი

**საამდროო გამოცანები**

(ზმა კიდურები ჩვენს მოღვაწეებს)

თ. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ღირს 15 კაპ. ვინც ას წიგნს ერთათ იყიდის გამომცემლისაგან ქ. ქუთაისში დაეთმობა მანეთზე ერთი აბაზი.

(10—7)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Апрѣля 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სასტამბ. ამ. დ. როტინიანცის Гол. пр. д., № 41.